MES 0 21 0000969639

23/09/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10.09.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:20 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი (I, II, III)
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (IV, V)
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (I, II, IV, V)
სხდომის მდივანი: ეკატერინე ნაცვლიშვილი (III)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდა წესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნანა დუღაშვილი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის ,,ფარმაციის მენეჯმენტის“ ხელმძღვანელი	I
2	თამარ ჩიკვილაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი	I
3	ირაკლი მჭედლიშვილი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო	სამაგისტრო პროგრამის	II

		სამედიცინო უნივერსიტეტი	,,ეპიდემიოლოგიის“ ხელმძღვანელი	
4	დავით გელოვანი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
5	ირინე კვაჭაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვაბელი	II
6	ეკატერინე ფირცხალავა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობისთბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
7	ელენე კვანჭილაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
8	მედეა დესპოტაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
9	მანანა მელიქიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
10	ხათუნა მარწყვიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	III

11	თამარ მანაგაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	III
12	ქეთევან გივიშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	IV
13	მალხაზი ბეგიაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი	IV
14	ანა ხურციძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	სამართლის სკოლის დირექტორი	IV
15	ქეთევან ნანობაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროფესორი	IV
16	ლიკა სირბილაძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის დეპარტამენტის პრაქტიკული განვითარების ხელმძღვანელი	V
17	მაკა საბაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	კურაციული სწავლების ადმინისტრატორი	V
18	ნანა უბილავა	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	V
19	ელენე გიგინეიშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის პროგრამის თანახელმძღვანელი და სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი	V
20	ანა ჟორჟოლიანი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	V
21	თამარ ლობჟანიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ჯანდაცვის სკოლის დირექტორი	V
22	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი		V

			აკრედიტაციის განყოფილების ხელმძღვანელი	

აკრედიტაციის ექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნატო ალავიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ჯილდა ჭეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ნათია ბადრიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	მზია თედიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	სალომე საბიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ცოტნე სამადაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
12	ნინო კორსანტია	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის მენეჯმენტის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ეპიდემიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ეპიდემიოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაციის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	03.12.2019. გადაწყვეტილება N 225
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე

9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0186 (0177), ვაჟა-ფშაველას გამზ., 33
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრ ამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ვასილ კიკუტაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი

განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კერძოდ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინსტრუქციები გადმოგვეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს, რომლის შესწავლის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის მოწოდებაც ლოგიკურ ვადებში უზრუნველყო ცენტრმა. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეისწავლა: პირველი „1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“, მე-2 „სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“ და მე-4 „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“ სტანდარტები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს აკადემიური წერის სასწავლო კურსი;
2. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მოხდეს პროგრამის საჭიროებების დაფინანსების მიზნობრიობის და მოცულობების დეტალიზაცია;

14:19- საბჭოს სხდომას შეუერთდა ეკატერინე ნაცვლიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ირინე კვაჭაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა დუღაშვილმა აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში დაწესებულება გეგმავდა, რომ დაემატოს აკადემიური წერის სასწავლო კურსი, როგორც ძირითადი კომპონენტი. მე-2 რეკომენდაციასთან მიმართებით ნანა დუღაშვილმა აღნიშნა, რომდაწესებულება აქტიურად გეგმავდა კონსულტაციის გავლას ეკონომიკის დეპარტამენტთან და შესაბამისად განხორციელდებოდა აუცილებელი ცვლილებების გატარება. მან დამატებით აღნიშნამ რომ ინსტიტუცია ასევე სრულად იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ თუ რამ განაპირობა პირველი რეკომენდაციის განსაზღვრა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ვასილ კიკუტაძემ განმარტა, რომ როდესაც აღნიშნული პროგრამა აკრედიტაციის გავლის ეტაპზე იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული საკითხი განსაზღვრული იყო რჩევის სახით, თუმცა აღსანიშნავია, რომ სტუდენტები ასრულებენ საკმაოდ დატვირთულ და შინაარსობრივ სამაგისტრო ნაშრომებს და ის დეტალები არც ხარისხიანი სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად არის საჭირო. სხვა სასწავლო კურსების

სილაბუსებით არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად, აუცილებელია არსებობდეს აკადემიური წერის სავალდებულო კურსი სადაც გათვალისწინებული იქნება ნაშრომისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დეტალი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:34
დასრულების დრო: 14:37

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა: აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი,

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს აკადემიური წერის სასწავლო კურსი;
2. რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტში მოხდეს პროგრამის საჭიროებების დაფინანსების მიზნობრიობის და მოცულობების დეტალიზაცია.

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მეტად იქნეს გამოყენებული ბლუმის ტაქსონომიის აქტიური ზმნები, რაც კიდევ უფრო აღქმადს და გაზომვადს გახდიდა პროგრამის სწავლის შედეგებს;
2. სასურველია სრულად იქნეს განახლებული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, განსაკუთრებით სამეცნირო-კვლევითი აქტივობების ამსახველი ინფორმაციის ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი და განსაზღვრა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ფარმაციის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ეპიდემიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეპიდემიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	24.02.2020. გადაწყვეტილება N 07
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეპიდემიოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	0912.2.2 - მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0186 (0177), ვაჟა-ფშაველას გამზ., 33
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ეპიდემიოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი, ჯილდა ჭეიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამა „ეპიდემიოლოგია" მოქმედებდა 2009 წლიდან. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს, ხოლო რეაკრედიტაცია 2020 წელს. სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგიის" მიზანია ჯანდაცვის სფეროში ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი-ეპიდემიოლოგის მომზადება, რომელსაც აქვს კომპეტენცია ჯანდაცვის პოლიტიკის გატარებაში წარმატებული მონაწილეობისა და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის. მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროგრამაში წარმოდგენილია როგორც ჩრდილოეთ ამერიკის, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებში და/ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლებში მოქმედი სამაგისტრო პროგრამების ანალოგები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ 27/07/2021 წლის N747222 ბრძანების შესაბამისად შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ეპიდემიოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობის დადგენა. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სამივე სტანდარტთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის მიზნების მიღწევისათვის რეკომენდირებულია ცალკეულ სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმების უფრო ნათლად, სტუდენტისათვის გასაგებად ჩამოყალიბება

14:40- საბჭოს სხდომას შეუერთდა ანა ფირცხალაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის დასახელება „ეპიდემიოლოგია“ სრულად შეესაბამება პროგრამის მიზანს, რომლის არსი შემდეგია: ჯანდაცვის სფეროში ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი-ეპიდემიოლოგის მომზადება, რომელსაც აქვს კომპეტენცია ჯანდაცვის პოლიტიკის გატარებაში წარმატებული მონაწილეობისა და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის. პანდემიის განვითარების პირობებში დღის წესრიგში დადგა მაღალი კვალიფიციის ეპიდემიოლოგების მომზადება, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან შესაბამისი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარჩვევებით როგორც ზოგადად ეპიდემიოლოგიაში, ისე, განსაკუთრებით ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიოლოგიაში როგორც ეპიდემიების, ისე პანდემიების პირობებში. აღნიშნულთან ერთად, კლიმატური პირობების გლობალური ცვლილების ფონზე, დიდი ყურადღება ექცევა ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც ექნებათ უნარი შეაფასონ გარემო ფაქტორების როლი მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, გამოავლინონ სხვადასხვა დაავადების გამომწვევი, მაპროვოცირებელი და ხელშემწყობი რისკის ფაქტორები და განახორციელონ მათ მიმართ პრევენციული ღონისძიებები.

აღსანიშნავია ასევე, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებსა და რჩევებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:46
დასრულების დრო: 14:49

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა: აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი,
რეკომენდაციები:

1. პროგრამის მიზნების მიღწევისათვის რეკომენდირებულია ცალკეულ სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმების უფრო ნათლად, სტუდენტისათვის გასაგებად ჩამოყალიბება.

რჩევები:

1. სასურველია ბიუჯეტში გაიზარდოს „კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი” კომპონენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ეპიდემიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი და განსაზღვრა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ეპიდემიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ეპიდემიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ახალი
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ 11ა თბილისი, 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

მარიამ შენგელიამ, გიორგი ღაღანიძემ, თეონა მატარაძემ, ნინო ინასარიძემ და ნინო ჭალაღანიძემ თვითაცილება განაცხადეს მესამე საკითხთან მიმართებით. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნად მე-3 საკითხის განსახილველად განისაზღვრა ეკატერინე ნაცვლიშილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ბადრიაშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ახალი სამაგისტრო პროგრამის, „გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“, სამაგისტრო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 17-18 აგვისტოს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, კერძოდ, zoom პლათფორმის მეშვეობით. წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი შედგა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელებთან, ასევე, სამაგისტრო პროგრამის ნაშრომის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მონათესავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სტუდენტთა მომსახურების პერსონალთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება მოხდა ბიბლიოთეკარის დახმარებით. ასევე, გასაუბრება შედგა პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტები წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე და მიმდინარეობდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და სილაბუსების სწავლის შედეგების მიღწევის დონეებთან შესაბამისობაში მოვიდეს;
2. გასწორდეს სასწავლო კურსის დასახელებები და მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში და კურიკულუმის რუკაზე მითითებულ ინფორმაციასთან;
3. თანხვედრაში მოვიდეს სასწავლო გეგმის და კურიკულუმის რუკაში მოცემული სავალდებულო კურსების ჩამონათვალი;
4. სასწავლო კურსების დასახელებაში: „კვლევის რაოდენობრივი მეთოდები და კვლევის თვისებრივი მეთოდები“, გასწორდეს ხარვეზი და დაზუსტდეს სახელწოდება (მაგ.

კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები 1 და კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები 2) რადგან ერთიდაიმავე დასახელების საგნები არ გადიოდეს სხვადასხვა სწავლის შედეგებზე. ოთხივე სასწავლო სემესტრის მიხედვით დეტალურად გაიწეროს სასწავლო გეგმა;

5. სასწავლო კურსი – სამეცნიერო წერა – მიზანშეწონილია იყოს სავალდებულო, ვინაიდან იგი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს;
6. დაიხვეწოს პრაქტიკის კურსის სილაბუსი და დეტალურად გაიწეროს თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანი, შინაარსი, საშინაო დავალების ინსტრუქცია;
7. მიზანშეწონილია პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმი/ ხელშეკრულება ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას;
8. უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების ვებ-გვერდზე გადაიხედოს კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის და რიდერების ხელმისაწვდომობა;
9. ბიბლიოთეკაში გადაიხედოს წიგნების ეგზემპლიარების რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი გაციფრულება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. პროგრამის სწავლის შედეგებში, ცოდნა და გაცნობიერება, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, გასწორდეს ფორმულირებები და კორექტული შეცდომები;
2. გასწორდეს ხარვეზი პროგრამის მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე;
3. გასწორდეს სილაბუსებში არაკორექტული შეცდომები;
4. სასურველია, პრაქტიკის კურსის სილაბუსში აღწერილი იყოს პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას;
5. სილაბუსების შფასების ფორმებში სასურველია, დასწრების კომპონენტის ნაცვლად, მხოლოდ აქტივობის შეფასება იყოს გამოყენებული;
6. სასურველია მოწვეული პერსონალი მეტად აქტიური იყოს კვლევითი საქმიანობის (როგორც კვლევის წარმოების, ისე გამოქვეყნების) თვალსაზრისით;
7. სასურველია თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამის აღწერილობაში ინფორმაცია პერსონალის რაოდენობის შესახებ მოვიდეს შესაბამისობაში;
8. პროგრამის განვითარების თვალსაზრისით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად, სასურველია, შემუშავდეს გამოკითხვის სხვადასხვა მექანიზმი.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მანანა მელიქიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები, განსაკუთრებით კი ტექნიკურ ხარვეზთან დაკავშირებით სრულიად მისაღები იყო, რაც ვიზიტის დროსაც აღინიშნა.

რაც შეეხება სათაურის ფორმას, ვინაიდან უნივერსიტეტში არსებობს თავისუფალი კრედიტის ფორმა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ საგნები სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან, ამიტომ პროგრამიდან გამომდინარე შეთავაზებული ,,რაოდენობრივი მეთოდებისა“ და ,,თვისობრივი მეთოდების“ სასწავლო კურსები აღნიშნული პრინციპით არის განაწილებული. შესაბამისად, თავისუფალი კრედიტების სახით საგნის არჩევის შემთხვევაში სტუდენტისთვის არ იქნება მოსახერხებელი თუ სასწავლო კურსები განისაზღვრება როგორც კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები 1 და კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები 2. თუმცა თუ ეს ექსპერტების პრინციპული დამოკიდებულებაა, რა თქმა უნდა შესაძლებელია რეკომენდაციის გათვალისწინება.

მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტებს ინტერესებიდან გამომდინარე, თავიდანვე განსაზღვრული ექნებათ არჩევითი საგნები. პროგრამის ფარგლებში კი აქტიურად მოქმედებს ტუტორების ინსტიტუტი. სამეცნიერო წერა თავდაპირველად განისაზღვრა როგორც სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსი, თუმცა მოხდება საკითხის გადახედვა და შესაბამისად შეცვლა.

რაც შეეხება პრაქტიკის განხორციელებას, დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, თუმცა როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, დაწესებულება თანამშრომლობს 6 ორგანიზაციასთან, რომელიც მზადაა პრაქტიკების ჩასატარებლად. პირველი გამოცდილების შემდეგ, დაწესებულება გეგმავს საკითხის მეტად დეტალურად და მიზნობრივად გაწერას.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ e-learning-ზე სემესტრის დასაწყისში სტუდენტებს ეტვირთებათ ყველა საჭირო მასალა, სავალდებულოს და არასავალდებულო. ბიბლიოთეკაში არსებული ყველა სახელმძღვანელო ასევე შენახულია დისკების სახით. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ბიბლიოთეკა ასევე ემსახურება სოციალური მეცნიერებებისა და პოლიტიკის ფაკულტეტს, სადაც ასევე აკრედიტაციის რეჟიმში არის 27 პროგრამა. სწავლების პროცესში რა თქმა უნდა ყველა სახელმძღვანელო სტუდენტისთვის იქნება ხელმისაწვდომი. დაწესებულებას გააჩნია ყველა სახელმძღვანელოს ელექტრონულ ვერისა, რომლის დამუშავებაც ამჟამად ხორციელდება და თითოეული მათგანი ატვირთული იქნება ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე. შესაბამისად ამ კუთხით ხარვეზი არ იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, დააზუსტა გადის თუ არა პროგრამის სწავლის შედეგებზე კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის სილაბუსი. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რას გეგმავს ამ კუთხით დაწესებულება, რეკომენდაციის გათვალისწინებას, თუ სილაბუსის შესაბამისობაში მოყვანას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამული ბიუჯეტი წარმოდგენილია 10 სტუდენტზე, შესაბამისად დააზუსტა, თუ რა სახსრებით აპირებდა დაწესებულება პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო დებულებაში ხელმძღვანელთან დაკავშირებით მოცემულია, რომ დოქტორის ხარისხის არ მქონე სპეციალისტმა შესაძლებელია ხელმძღვანელობა გაუწიოს სამაგისტრო ნაშრომს. შესაბამისად, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ორი დოკუმენტი, რომელთაგან ერთ-ერთი მოცემულია 34 გამოკითხული საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, სადაც სტუდენტები გამოხატავენ სურვილს მოცემულ პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად. ასევე მოცემულია 9 რესპოდენტის გამოკითხვა, რომელთაგან ერთ-ერთი თავად პროგრამის ხელმძღვანელია. შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა, ხომ არ თვლის დაწესებულება რომ აღნიშნული წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტს. გარდა ამისა, საყურადღებოა თუ რამდენად ვალიდურად შეიძლება ჩაითვალოს 8 რესპოდენტის გამოკითხვის შედეგად პროგრამის საჭიროება და დასაქმების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დააზუსტა თუ რა დრო სჭირდება ინსტიტუციის მხრიდან 1.2 კომპონენტში არსებული რეკომენდაციების შესრულებას.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიღების წინაპირობად განსაზღვრულია უცხო ენა, თუმცა არ არის მითითებული რა დონე მოეთხოვება სტუდენტს, შესაბამისად, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ბადრიაშვილმა კვლევის მეთოდების სასწავლო კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს სასწავლო კურსის სახელწოდების ფორმულირებას, აუცილებელია რომ სასწავლო კურსის სახელწოდება და მისი შინაარსი შესაბამისობაში მოდიოდეს ერთმანეთთან.
რაც შეეხება აკადემიურ, წერას, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ეკატერინე ფირცხალავამ კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტების შენიშვნა სრულად მისაღებია.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, ვინაიდან აღნიშნული იყო სიღრმისეული თვისობრივი ინტერვიუ, ამ ეტაზე, დაწესებულებამ ჩათვალა, რომ მოცემული რაოდენობა არის საკმარისად ინფორმაციული, თუმცა, მომავალში მოხდება უფრო მეტი პოტენციური დამსაქმებლის კვლევაში ჩართვა. ის, რომ ერთ-ერთი გამოკითხული პირი პროგრამის ხელმძღვანელია, დაწესებულებისთვის დადებით ფაქტორს წარმოადგენს, ვინაიდან მეტი ხელშეწყობა შეიძლება ჰქონდეთ სტუდენტებს, რომ თავი დაიმკვიდრონ მოცემულ სფეროში.

რაც შეეხება უცხო ენას, როგორც ერთ-ერთ წინაპირობას, საბაკალავრო პროგრამის დამთავრების შემდეგ, ყველა სტუდენტს აქვს გარკვეული დონე უცხო ენაში, რაც სავსებით საკმარისია სამაგისტრო საფეხურის დასაძლევად. მთავარი არის ის, რომ სტუდენტებმა შეძლონ უცხოენოვან სახელმძღვანელოებთან მუშაობა. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ენაში სტუდენტებს არ უტარდებათ გამოცდა, ხდება მათთან გასაუბრება, გამოცდის არსებობის შემთხვევაში კი აუცილებლად მითითებული იქნებოდა შესაბამისი ცოდნის დონე.

მნიშვნელოვანია, რომ გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემუშავება გადაწყდა სიტუაციური ანალიზის და საჭიროებების კვლევის, ასევე, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მხრიდან - დაინტერესების საფუძველზე.

სიტუაციური ანალიზის და საჭიროებების კვლევის საფუძველზე შემუშავდა პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები. გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა გააძლიერებს სოციალური ფსიქოლოგიის დარგს, რადგანაც პროგრამა მოიცავს გავლენების ფსიქოლოგიის, პოლიტიკური ფსიქოლოგიის, კროს-კულტურული ფსიქოლოგის და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს, რაც სოციალური ფსიქოლოგიის დარგს საქართველოში თანხვედრაში მოიყვანს ამ სფეროში არსებულ მსოფლიო გამოცდილებასთან ამასთანავე თავისი შინაარსით უპასუხებს საზოგადოების განვითარების აქტუალურ საკითხებს.

რაც შეეხება ბიუჯეტს, მიუხედავად მისა, რომ პროგრამა არის ახალი და უნიკალური, ის მაინც საცდელ რეჟიმში ფუნქციონირებს, შესაბამისად, თუ ის არ იქნება მომგებიანი აღარ გაგრძელდება სტუდენტების მიღება. აქედან გამომდინარე ბიუჯეტი ამჟამად განსაზღვრულია 10 სტუდენტზე.

რაც შეეხება ხელმძღვანელობის საკითხს, დაწესებულებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ყოლა, შესაბამისად განიხილება ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ თანახელმძღვანელს არ შეიძლება ჰქონდეს დოქტორის ხარისხი, თუმცა ძირითადად განიხილება დოქტორანტები ან დოქტორის ხარისხის მქონე პირები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:27
დასრულების დრო: 15:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.6 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 5.1კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:
1. გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და სილაბუსების სწავლის შედეგების მიღწევის დონეებთან შესაბამისობაში მოვიდეს;
2. გასწორდეს სასწავლო კურსის დასახელებები და მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში და კურიკულუმის რუკაზე მითითებულ ინფორმაციასთან;
3. რეკომენდებულია, მიღების წინაპირობაში დაზუსტდეს ინგლისური ენის ცოდნის დონე (არანაკლებ B2);

4. რეკომენდირებულია, თანხვედრაში მოვიდეს სასწავლო გეგმის და კურიკულუმის რუკაში მოცემული სავალდებულო კურსების ჩამონათვალი;
5. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსების ჩამონათვალში შესწორდეს კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების დასახელებები ან სასწავლო კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სახელწოდებასთან;
6. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „სამეცნიერო წერა“ მიზანშეწონილია იყოს სავალდებულო, ვინაიდან იგი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს;
7. მიზანშეწონილია პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმი/ ხელშეკრულება ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას;
8. რეკომენდირებულია, სილაბუსების შეფასების ფორმებში, დასწრების კომპონენტის ნაცვლად, მხოლოდ აქტივობის შეფასება იყოს გამოყენებული;
9. რეკომენდაცირებულია, დაზუსტდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (სამეცნიერო კვლევითი გამოცდილება) სამაგისტრო ნაშრომის პოტენციური ხელმძღვანელის/ების მიმართ;
10. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფს მექანიზმები, პროგრამის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

რჩევები:
11. სასურველია, შრომის ბაზრის ანალიზისას რესპონდენტთა არეალის გაფართოება;
12. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგებში, ცოდნა და გაცნობიერება, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, გასწორდეს ფორმულირებები;
13. სასურველია, გასწორდეს ხარვეზი პროგრამის მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე;
14. სასწავლო გეგმის მიხედვით რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის სასწავლო კურსები დალაგებული, ვინაიდან არ არის მითითებული სწავლების სემესტრები. სასურველია, სასწავლო გეგმაში, სწავლების სემესტრში დაემატოს კიდევ ორი სვეტი, შემოდგომის სემესტრი III და გაზაფხულის სემესტრი IV;
15. სასურველია, პრაქტიკის კურსის სილაბუსში აღწერილი იყოს პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას;
16. სასურველია მოწვეული პერსონალი მეტად აქტიური იყოს კვლევითი საქმიანობის (როგორც კვლევის წარმოების, ისე გამოქვეყნების) თვალსაზრისით;
17. სასურველია მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად აქტიურად დაკავდნენ როგორც კვლევით საქმიანობით (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ს მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში;
18. სასურველია, უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების ვებ-გვერდზე გადაიხედოს კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის და რიდერების ხელმისაწვდომობა;
19. სასურველია, გადაიხედოს წიგნების ეგზემპლიარების რაოდენობა და, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს სახელმძღვანელოების გაციფრულება;
20. სასურველია სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება გამოკითხვებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მინიჭა აკრედიტაცია 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

15:56 - საბჭოს სხდომა დატოვა ნათია ზედგინიძე ჯიშკარიანმა

15:58- საბჭოს სხდომა დატოვა ანა ფირცხალაშვილმა

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინოიმნაძე.

მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	2020 წლის 30 ოქტომბრის N1054561 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	0421 - სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 ECTS
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0171, მ. კოსტავას 77ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. სასურველია, წარმოდგენილ იქნას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, საიდანაც გამოიკვეთებოდა მათი ურთიერთმიმართება. აღნიშნული აუცილებელია პროგრამის მიზნების მიღწევადობისა და რეალისტურობის შესაფასებლად;
2. სასურველია, წარმოდგენილ იქნას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
3. პროგრამის სწავლის შედეგები ექვსდონოვან დაყოფას უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დონეთა კატეგორიაში დაყოფა, ანდა პირიქით - სილაბუსის სწავლის შედეგის სამდონოვან დაყოფასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის სწავლის ექვსდონოვანი დაყოფა.
4. სასურველია, განსაზღვრულ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და ასევე, პროგრამის სამიზნე ნიშნული მიღწევის მონიტორინგის ვადები (გეგმა);
5. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ოთხდონოვანი ციკლის ცირკულარი თვითშეფასების ანგარიშში ყოფილიყო ახსნილი და წარმოდგენილი, წარმდენადაც,

ხარისხის უაზრუნველყოფის შიდა სისტემა სწორედ პროცესის დაგეგმვის, შეფასების, მიღებული შედეგების ანალიზისა და განვითარების კუთხით მიემართება;

6. სასურველია, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები იქნას წარმოდგენილი, მათ შორის, ასახულ იქნას თვითშეფასების ანგარიშში;
7. სასურველია, წარმოდგენილი იქნას კურსამთავრებულთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
8. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, აუცილებელია, პერიოდულად მოხდეს მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, მონაცემები ანალიზი და მიღებული შედეგების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში) პროგრამის განვითარების მიზნით. აღნიშნული შედარებითი ანალიზი და ანალიზის შედეგები, სასურველია, წარმოდგეილი ყოფილიყო.
9. აუცილებელია, განხორციელდეს სილაბუსების გადახედვა, დაემატოს ან განახლდეს ლიტერატურა;
10. მიზანშეწონილია, პროგრამის სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა წარმოდგენილი იქნას იმგვარად, რომ გარკვეულ საგნებთან მიმართებით სამართლის სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამამ განსაზღვროს გარკვეული სასწავლო კურსების არჩევითობის მოდელი, რაც უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობის კრიტერიუმის სრულად დაკმაყოფილებას და შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებს, თავად განსაზღვრონ საკუთარი სასწავლო პროფილი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტების შესწავლა-ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შესრულებული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული და შესრულებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:03
დასრულების დრო: 16:05

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

მეხუთე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	(30.04.2019) გადაწყვეტილება N106
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სტომატოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	090201 - დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	-
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. 77ა თბილისი, 0171 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ცოტნე სამადაშვილმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტი შედგა 2021 წლის 30 ივნისს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადმოგვეგზავნა უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. წინააღმდეგობების გარეშე ჩატარდა პირების ინტერვიურება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

აკრედიტაციის საბჭოსა და ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამისათვის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პირველი და მეორე სტანდარტები, მე-4 სტანდარტის 4.1, 4.2 და 4.3 კომპონენტები და მე-5 სტანდარტის 5.2 კომპონენტი. ექსპერტებმა დამატებით შეაფასეს 3.1 და 5.1 კომპონენტები გამომდინარე აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგები - კლინიკური უნარ-ჩვევების კუთხით, აუცილებელია ისეთი პროგრამისთვის, როგორიცაა - სტომატოლოგია. სტუდენტისთვის პაციენტის მიღება უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული ექნება კონკრეტული ქულა;
2. გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტების მიღება გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრ უმაღლეს სასწავლებელში;
3. სტომატოლოგიურ ბაზებზე და საუნივერიტეტო კლინიკაში სტუდენტისთვის განკუთვნილი კურაციული მეცადინეობის საათებში გამოიყოს მეტი სტომატოლოგიური დანადგარი და სტუდენტთან პაციენტის მკურნალობის საფასური იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური;
4. გასწორდეს სილაბუსები, დაკონკრეტდეს ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი პაციენტებზე და ფანტომებზე, შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად;
5. გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, პროფესორის და მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტთან მუშაობა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი;
6. უფრო დეტალურად უნდა იყოს ჩაშლილი სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება პრაქტიკულ ნაწილში. სილაბუსში უნდა იყოს მითითებული კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება;

7. საჭიროა გაიზარდოს სტუდენტთა მომსახურების სამსახურის მუშაობის ეფექტურობა და სტუდენტებში მისი ცნობადობა. მომსახურების სამსახურმა განახორციელოს სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების კონსულტირება დასაქმების და კარიერული ზრდის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მოხდა ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება, გარდა მე-4 რეკომენდაციისა, შესაბამისად აღნიშნული რეკომ ენდაცია მიმდინარე მონიტორინგის დროსაც რჩება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე გიგინეიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დანართის სახით სილაბუსს მოყვება საკმაოდ დეტალურად გაწერილი პრაქტიკული უნარების შეფასების ცხრილი, რაც შესაბამისად, ყოველი სწავლის დაწყების წინ ეცნობათ სტუდენტებს, ლექტორის მიერ. ყოველი პრაქტიკული გამოცდის წინ, თითოეული პრაქტიკული კომპონენტის ლექტორი სტუდენტებს ათვალიერებინებს და აცნობს საგამოცდო არეს. თუმცა რა თქმა უნდა დაწესებულება ითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციას და შესაბამისად მოხდება აუცილებელი ცვლილებების გატარება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:15
დასრულების დრო: 16:17

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა: აკრედიტაც იის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი.
რეკომენდაციები:

1. სილაბუსებში დაკონკრეტდეს სასწავლო კურსის პრაქტიკული კომპონენტის გამოცდაზე შეფასების ფორმა, ამ კომპონენტისთვის გამოყოფილი ქულების განაწილება.

რჩევები:

1. სილაბუსებში მითითებული იყოს სწავლების სემესტრი;
2. სილაბუსებში მითითებული იყოს სწავლების სემესტრი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 16:20 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნაცვლიშვილი ეკატერინე